პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

1973 წ.
№ 34 (4804)
18 თებერვალი, კვირა.
ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

◆ **ლინცი,** 17 თებერვალი. ავსტრიის ამ ქალაქში დაიწყო ევროპული ჩემპიონატი პნევმატური იარაღით სროლაში. ასპარეზობაში წარმატებით გამოდიან საბჭოთა სპორტსმენები. მარტო პირველ დღეს მათ მოიხვეჭეს 7 ოქროს, 3 ვერცხლისა და ამდენივე ბრინჯაოს მედალი. სსრ კავშირის ქალთა გუნდმა დაამყარა 2 მსოფლიო რეკორდი პისტოლეტიდან (1142) და შაშხანიდან სროლაში (1135). ერევნელი სპორტსმენი ქალი ზ. სამსონიანი ავტორი გახდა მსოფლიო რეკორდისა პისტოლეტიდან სროლაში — 384 ქულა.

◆ **ბუდაპეშტი,** 17 თებერვალი. ახალგაზრდა საბჭოთა დიდოსტატი გ. ვაგანიანი ლიდერობს უნგრეთის დედაქალაქის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საჭადრაკო ტურნირს. 4 ტურის შემდეგ მას 3,5 ქულა აქვს.

როცა გაზეთი ხელმოსაწერად მზად იყო... 19$^{45}$

◆ **კონკორდი,** 17 თებერვალი. კალიფორნიის შტატის ამ ქალაქში გაიმართა სსრ კავშირის წყალბურთელთა ნაკრების მორიგი მატჩი. ამჯერად საბჭოთა ნაკრების მეტოქე იყო აშშ-ს ეროვნული გუნდი. კვლავ გაიმარჯვეს სტუმრებმა — 5:4 (0:0, 1:2, 3:2, 1:0). პირველ პერიოდში ანგარიში არ გახსნილა, ერთწუთიანი შესვენების შემდეგ წინ გავიდნენ მასპინძლები — 2:0, მაგრამ ა. დრევალმა შეძლო ერთი ბურთის გატანა. მესამე პერიოდში ვ. ემუდსკიმ, დრევალმა და ი. ოსიპოვმა თითო ბურთი გაიტანეს, მაგრამ მასპინძლებმა შეძლეს ანგარიშის გათანაბრება — 4:4. დასკვნით ხუთ წუთში თავი ისახელა ემუდსკიმ, რომელმაც გამარჯვების გოლი ტყორცნა — 5:4.

## გუშინ...

რუსთავში შედგა ამხანაგური მატჩი თბილისის „დინამოსა“ და რუსთავის „მეტალურგის“ ფეხბურთელთა შორის.

თამაში მოიგეს დინამოელებმა ანგარიშით 2:0. ორივე გოლი გატანილი იქნა შესვენების შემდეგ. ანგარიში 11-მეტრიანი დარტყმით გახსნა პეტრიაშვილმა, მეორე ბურთი გაიტანა ყიფიანმა. „დინამომ“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ჩლაიძე, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურციძე, პეტრიაშვილი, გავაშელი, მაჩაიძე, კუტივაძე, გუცაევი, გ. ნოდია, ყიფიანი.

**ფეხბურთი**

## სსრ კავშირის პირველობა

**„ა“ ჯგ. I ჯგუფი**

# ბალტიისპირელთა უპირატესობით

გაიმართა მორიგი ტურის მატჩები. ყურადღების ცენტრში იყო გათამაშების ლიდერის, რიგის ასკ-ს მატჩი ლენინგრადის თანაკლუბელებთან. მიუხედავად იმისა, რომ ლატვიელი კალათბურთელები შინ თამაშობდნენ, ბრძოლა უაღრესად მძაფრი გამოდგა. პირველი შეხვედრა ლიდერმა მოიგო — 117:102, მაგრამ დაცვაში უსისტემოდ ითამაშა.

განმეორებით მატჩში სტუმრებმა უფრო აგრესიულად წარმართეს შეტევები. დაცვამაც კარგად გაართვა თავი მოვალეობას და ლიდერმა სატურნირო ცხრილში მესამე დამარცხება ჩაიწერა — 89:93. ამის მიუხედავად, რიგის არმიელები უმაღლეს ლიგაში გადასვლის საუკეთესო შანსებს ინარჩუნებენ. ისინი უახლოეს მეტოქეს მთელი 5 ქულით უსწრებენ.

წარმატებით ატარებს შეხვედრებს რიგის მეორე გუნდიც — ვეფ, რომელიც ამჟამად სატურნირო ცხრილის II საფეხურზე იმყოფება. რიგელ კალათბურთელებს ჩასატარებელი აქვთ 4 მატჩი ამიერკავკასიაში (ერევანსა და ბაქოში), მერე კი III და IV წრეების მატჩებს შეუდგებიან.

საგრძნობლად გამოისწორა მდგომარეობა ბალტიისპირეთის კიდევ ერთმა კოლექტივმა — ვილნიუსის „სტატიბამ“. ალმა-ათაში აღებულმა ქულამ იგი პრიზიორთა გვერდით დააყენა. მართალია „სტატიბას“ 2 მარცხით მეტი აქვს, ვიდრე III ადგილზე მყოფ ნიკოლაევის „სპარტაკს“, მაგრამ დაგროვილი ქულებით უკვე გაუთანაბრდა თავის მთავარ მეტოქეს.

„სტატიბას“ გაუჭირდა ალმა-ათაში. პირველი ბრძოლა მან მხოლოდ 1 ქულის უპირატესობით მოიგო — 84:83. მეორე დღეს „ლოკომოტივი“ თამამად თამაშობდა, მაგრამ უპირატესობას მხოლოდ შეხვედრის მიწურულში მიაღწია. ალმაათელებმა რევანში აიღეს — 75:73.

როგორც ცნობილია, სვერდლოვსკის „ურალმაშმა“ თბილისში ორი მარცხი განიცადა ზედიზედ. მანამდე კი ურალელებმა შინ ითამაშეს დონეცკის „ავანგარდთან“ და ორი ქულა აართვეს მეტოქეს. კარგად ჩაატარა „ურალმაშმა“ პირველი ბრძოლა — 79:66, მეორე შეხვედრაში კი მისი უპირატესობა მხოლოდ 3 ქულით გამოიხატა — 68:65.

ორი გამარჯვება მოიპოვა შინ კრასნოდარის „ტრუდმაც“. ერევნის ფიზკულტურის ინსტიტუტის კალათბურთელებმა წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს მეტოქეს და იოლად დათმეს ბრძოლა — 72:96 და 81:98.

დაბოლოს ერთ მატჩზე, რომელიც კიშინიოვში შედგა. „პოლიტექნიკმა“ სრულიად მოულოდნელად წააგო ბრძოლა ტაგანროგის „ტრუდთან“ — 61:71. მეორე დღეს მან მართალია, რევანში აიღო (69:58), მაგრამ ამან დაკარგულ ქულას ვერაფერი უშველა.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 18 თებერვლისთვის

| | თ. | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| ასკ (რიგა) | 22 | 19 | 3 | 19 |
| ვეფ (რიგა) | 22 | 14 | 8 | 14 |
| „სპარტაკი“ | 18 | 12 | 6 | 12 |
| „სტატიბა“ | 20 | 12 | 8 | 12 |
| „ურალმაში“ | 22 | 12 | 10 | 12 |
| „ტრუდი“ (კრასნ.) | 20 | 11 | 9 | 11 |
| „ავანგარდი“ | 20 | 11 | 9 | 11 |
| „ლოკომოტივი“ | 20 | 10 | 10 | 10 |
| „პოლიტექნიკი“ | 20 | 10 | 10 | 10 |
| ასკ (ლენინგრადი) | 22 | 10 | 12 | 10 |
| „ტრუდი“ (ტაგან.) | 20 | 7 | 13 | 7 |
| ფიზკ. ინსტ. | 22 | 7 | 15 | 7 |
| „ბურ.“ (თბილისი) | 22 | 7 | 15 | 7 |
| აზერბაიჯანის ნავთობისა და ქიმიის ინსტ. (ბაქო) | 20 | 3 | 17 | 3 |

შენიშვნა: ცხრილში შეტანილია თბილისის „ბურევესტნიკისა“ და სვერდლოვსკის „ურალმაშის“ შეხვედრების შედეგები, რომლებიც 14 და 15 თებერვალს გაიმართა.

# „სპორტლოტოს“ მოყვარულთა საყურადღებოდ

„სპორტლოტოს“ საქართველოს ზონალური სამმართველო ამ თამაშის მოყვარულებს აცნობებს, რომ მეექვსე ტირაჟის ბილეთები ყუთებში უნდა ჩაყარონ არა უგვიანეს 26 თებერვლისა.

როგორც ცნობილია, ამ ბოლო ხანს „სპორტლოტოს“ მოყვარულთა შორის ძალიან გავრცელდა თამაშის სხვადასხვა ფორმა, მაგალითად, კოლექტიური, ოჯახური...

მესამე ტირაჟში ბედმა გაუღიმა ქობულეთის რაიონის წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრის გ. ზაქარიაძის ოჯახს. ბილეთებს ყველა ერთად ავსებდა — დედმამა და სამი შვილი. შედეგად მათ ხუთი სახეობა გამოიცნეს და 2421 მანეთი მოიგეს.

„სპორტული ლატარია ჩვენთან ძალიან პოპულარულია, — ამბობს გ. ზაქარიაძე, — მაგრამ ქობულეთის მცხოვრებთ ბილეთების შესაძენად ბათუმში უხდებათ ჩასვლა. კარგი იქნება, თუ საქართველოს ზონალური სამმართველოს ბათუმის სააგენტო ქობულეთში გაყიდის ბილეთებს“.

მესამე ტირაჟში სპორტის ხუთი სახეობა გამოიცნეს, აგრეთვე, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტმა ზ. აჯიაშვილმა და ზუგდიდის მცხოვრებმა გ. სამუშიამ. ისინიც 2421-2421 მანეთს მიიღებენ.

„სპორტლოტოს“ მორიგი, მეხუთე ტირაჟი ბაქოში შედგება.

ი. ლოპატკინი,
„სპორტლოტოს“ საქართველოს ზონალური სამმართველოს ინსტრუქტორი.

# საერთაშორისო შეჯიბრებების წინ

სოხუმში ჩამოვიდა საგზატკეცილო ველოსპორტის ოსტატთა ნაკრები გუნდი. მის შემადგენლობაში არიან მიუნხენის ოლიმპიადის ჩემპიონები, მსოფლიო პირველობის ტრიუმფატორები და პრიზიორები ვ. ნელიუბინი, ა. გუსიატნიკოვი, ნ. გორელოვი, ვ. იარდი, ბ. შუხოვი, ვ. ლიხაჩოვი, გ. კომნატოვი და სხვები.

ველოსიპედისტები წვრთნას შეუდგნენ დიდი საერთაშორისო შეჯიბრების წინ. მარტსა და აპრილში ისინი გამოვლენ ალჟირში, მაროკოში, საფრანგეთსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამართულ საერთაშორისო ტურნირებში. 9 მაისს კი მშვიდობის XXVI ველორბოლაში ჩაებმებიან. გუნდს წვრთნის სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ვ. კაპიტონოვი.

გ. იაშვილი.
(ჩვენი კორ.).

სოხუმი.

* * *

**სურათზე:** ველომრბოლელები ვარჯიშის დროს.

ავტორის ფოტო.

# პირველი მატჩი, პირველი გამარჯვება

*მოსკოვი, 17 თებერვალი. დღეს ადგილობრივ „დინამოს“ სტადიონზე სტარტი აიღო მსოფლიოს VIII ჩემპიონატმა ბურთიან ჰოკეიში. სარბიელზე გამოდიან სსრ კავშირის, ნორვეგიის, შვეციისა და ფინეთის გუნდები. სპორტის ამ სახეობას დიდი ხნის ისტორია არა აქვს. 1955 წლის 12 თებერვალს შედგა ბურთიანი ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციის პირველი დამფუძნებელი სხდომა, რომლის მონაწილე შვეციის, ნორვეგიის, ფინეთისა და სსრ კავშირის წარმომადგენლებმა მოიწონეს შეჯიბრების წესები და გადაწყვიტეს პირველი მსოფლიო ჩემპიონატი გაემართათ 1957 წელს, ჰელსინკში. მაშინ მსოფლიო ჩემპიონი გახდა სსრ კავშირის გუნდი. მას შემდეგ იგი ექვსჯერ ავიდა საპატიო კვარცხლბეკის ყველაზე მაღალ საფეხურზე.*

*ასპარეზობა გახსნეს სსრ კავშირისა და ნორვეგიის ნაკრებმა გუნდებმა. საბჭოთა ნაკრებმა იოლად გატეხა მეტოქის წინააღმდეგობა და შეძლო პირველი მატჩის იოლად მოგება — 11:0.*

# ახალი ამბები-73

● **სან-ხოსე** (აშშ), 16 თებერვალი. კალიფორნიის შტატის ამ ქალაქში შედგა სსრ კავშირისა და ადგილობრივ სტუდენტ წყალბურთელთა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი. შეხვედრა ამჯერადაც სტუმრების გამარჯვებით დამთავრდა — 10:6. საბჭოთა გუნდიდან გოლები გაიტანეს ა. აკიმოვმა (4), ა. კაბანოვმა (2), ა. დრევალმა (2), ნ. კოტელნიკოვმა და ვ. ემუდსკიმ.

● **ხატერსჰეიმი,** 16 თებერვალი. გფრ-ის ამ ქალაქში მაგიდის ჩოგბურთელთა ევროპული ლიგის პირველობის ლიდერებმა, უნგრელმა სპორტსმენებმა კიდევ ერთი გამარჯვება იზეიმეს. მათ მოუგეს გფრ-ის ნაკრებს 6:1, ლიდერებს კვალში მიჰყვებიან სსრ კავშირისა და გფრ-ის გუნდები.

● **სტოკჰოლმი,** 16 თებერვალი. „შვეცია-73“ ავტორალის სტარტი აიღო ევროპის ქვეყნებისა და იაპონიის კლუბებისა და ფირმების 140 ეკიპაჟმა. მათ შორის არის სსრ კავშირის 5 ეკიპაჟი, რომლებიც გამოდიან „ლადას“ ავტომანქანებით. მონაწილეებმა 1800 კმ უნდა დაფარონ. ექვსი ეტაპის შემდეგ საბჭოთა ქვეყნის წარმომადგენლები წარმატებით განაგრძობენ ასპარეზობას.

● **ლეიკ-პლესიდი,** 16 თებერვალი. აშშ-ს ამ ქალაქში გამართულ ბობსლეისტთა მსოფლიო ჩემპიონატში საპოროს ოლიმპიადის ჩემპიონებმა, დასავლეთგერმანელმა სპორტსმენებმა ვ. ციმერერმა და პ. უტცშნაიდერმა კვლავ აჩვენეს მაღალი კლასი და ორადგილიანებით მსოფლიო ჩემპიონობა მოიხვეჭეს.

● **რიჩლენდი** (აშშ), 16 თებერვალი. მიჩიგანის შტატის ამ ქალაქში გაიმართა პირველი მსოფლიო ჩემპიონატი საბუერო სპორტში („დნ“ კლასში). საინტერესო ასპარეზობაში მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიხვეჭა საბჭოთა სპორტსმენმა, ტალინელმა ა. ვილდემ.

### საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პლენუმზე

# ქართული ფეხბურთის

დიდი ხანია, უკვე რამდენიმე წელია, არა გვქონია ასეთი პრინციპული, საქმიანი საუბარი ქართული ფეხბურთის გადაუდებელ, საჭირბოროტო პრობლემებზე. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ რესპუბლიკურ ფედერაციას ოთხი წელია არ შეუკრებია აქტივი, ამ სახეობის მესვეურნი, რათა ემსჯელა აქტუალურ საკითხებზე და, მეორეც — გულახდილად უნდა ითქვას, უწინ მიღწევებსა და წარმატებებზე მეტს ვლაპარაკობდით, ვიდრე იმ ნაკლოვანებებზე, რომლებიც სერიოზულად უშლიან ხელს საქართველოში ფეხბურთის შემდგომი წინსვლისა და განვითარების საქმეს.

ამ ნაკლოვანებებს ხაზი გაუსვა თავის საანგარიშო მოხსენებაში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პლენუმზე ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. ბაქანიძემ, ხაზი გაუსვეს თანამომხსენებლებმა ბ. პაიჭაძემ (სასწავლო-მეთოდური კომისია), ვ. შავდიამ (მსაჯთა კოლეგია), ა. პაიჭაძემ (სპორტ-ტექნიკური კომისია), ნ. ამირეჯიბმა (ბავშვთა ფეხბურთის კომისია). მათ აღნიშნეს, რომ ის ტემპები, რომლებიც ახლა გვაქვს აღებული, არავითარ შემთხვევაში არ აკმაყოფილებს სადღეისო მოთხოვნებს, ვერ სწვდება გადასაჭრელ საკითხთა ვრცელ წრეს.

რესპუბლიკის საფეხბურთო კოლექტივების დიდ უმრავლესობაში დაბალია სასწავლო-საწვრთნელო მუშაობის დონე, რაც მკვეთრად იჩენს თავს ფეხბურთელთა საერთო მომზადების ჩამორჩენაში, ჩვენი გუნდების თამაშის დაბალ კლასში. ხშირად გვაქვს ლაპარაკი, რომ საქართველოს პირველობაში მონაწილე გუნდების მწვრთნელთა ნაწილი დაბალი კვალიფიკაციისაა, არ გააჩნია სპეციალური განათლება, მუშაობს გულგრილად, არასისტემატურად, არ ზრუნავს პროფესიული დონის ასამაღლებლად, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ არავის უზრუნია მიაწოდოს მათ სასწავლო ლიტერატურა, მოამარაგოს ისინი თანამედროვე პროგრესული მასალებით, იშვიათად, შემთხვევიდან შემთხვევამდე ეწყობა ხელახლა მოსამზადებელი და კვალიფიკაციის ასამაღლებელი სემინარები. ამიტომაა, რომ მწვრთნელები ფაქტიურად მხოლოდ საკუთარ ინიციატივას და პრაქტიკულ გამოცდილებას არიან მინდობილი. საქმიან დახმარებას ისინი ნაკლებად გრძნობენ.

წლიდან წლამდე ლაპარაკია იმაზე, რომ არ გვყოფნის თუნდაც მარტივი, უბრალო ტიპის ბაზები და სათამაშო მინდვრები. თვით სპეციალიზებული სკოლებიც კი მოკლებული არიან საწვრთნელ ბაზებს, ნაყოფიერი სასწავლო მუშაობისთვის არ გააჩნიათ ელემენტარული, პირველი საჭიროების დამხმარე ხელსაწყოები და ინვენტარი. ხრიოკი მიწა, უვარგისი ბურთები — აი, ის, რაც მათ გამგებლობაშია.

ჯერ კიდევ სერიოზული ხარვეზები გაგვაჩნია ბავშვთა და მოზარდთა ფეხბურთში. ის ცალკეული მიღწევები, რომლებიც ჩვენს გუნდებს აქვთ მოპოვებული საკავშირო შეჯიბრებებში, ოდნავაც ვერ აკმაყოფილებს დღევანდელ გაზრდილ მოთხოვნებს, ვერ აუდის გადაუდებელი პრობლემების განხორციელებას, ბავშვთა და მოზარდთა ფეხბურთის წინაშე დასახულია კონკრეტული, დიდმნიშვნელოვანი ამოცანა: მიაწოდოს საქართველოს ოსტატთა გუნდებს, კერძოდ, თბილისის „დინამოს", ქუთაისის „ტორპედოს", „ა" კლასის II ლიგის კოლექტივებს მაღალკვალიფიციური, პერსპექტიული, კარგად მომზადებული ცვლა, ის რეზერვები, ხვალინდელი დღის საიმედო დასაყრდენი, რომელიც ესოდენ სჭირდება ახლა ჩვენს ფეხბურთს.

ბავშვებს უნდა შევუქმნათ განსაკუთრებული პირობები, მათ ყოველნაირად უნდა შევუწყოთ ხელი ყოველდღიურ ვარჯიშში, შეჯიბრებები მოვაწყოთ ორგანიზებულად, მაღალ დონეზე. ნიჭიერ, პერსპექტიულ მოთამაშეებს სჭირდებათ საგანგებო ყურადღება და მზრუნველობა, ნაცვლად ამისა კი მათ უბრალო სათამაშო მინდორიც არა აქვთ სამეცადინოდ. შორს რად მივდივართ, როცა წარსულში საქვეყნოდ ცნობილ თბილისის 35-ე სკოლასაც კი არ გააჩნია საკუთარი ნორმალური საფეხბურთო მოედანი. პარადოქსია, მაგრამ, სამწუხაროდ, ფაქტია!

არა ვართ კმაყოფილი მსაჯთა მომსახურების დონითაც, ჯერ კიდევ ხშირად ვხვდებით დისციპლინის უხეში დარღვევის შემთხვევებს არა მარტო ცალკეული ფეხბურთელების მხრივ, არამედ უფრო მასობრივი მასშტაბითაც. სპორტული საზოგადოებრიობისთვის, ფეხბურთის მოყვარულთათვის კარგადაა ცნობილი ის უმსგავსო ინციდენტები, რაც მოხდა ლანჩხუთში, ზესტაფონში, სამტრედიაში, წალკაში, ახმეტაში, საჩხერეში. მსაჯების უუნარობა და ლიბერალობა ზოგჯერ იქამდე მიდის, რომ ისინი ფეხბურთელთა „შურისძიების" ობიექტადაც კი იქცევიან.

კიდევ უფრო მკაცრი და შეურიგებელი იყო კამათის მონაწილეთა კრიტიკა, მათი დაუნდობელი, სამართლიანი საყვედურები. ე. გოკიელი (თბილისი), ა. მილჩენკო (სოხუმი), ი. კუსიდი (ბათუმი), გ. ხოშტარია (სპორტული საზოგადოება „კოლმეურნე"), ი. ლობჟანიძე, ვ. მდივანი, შ. მერკვილაძე (ყველა — თბილისი) და სხვანი უპირველეს ყოვლისა იმ ნაკლოვანებებს ამხელდნენ, რომლებიც ფედერაციის საქმიანობაში არსებობს და რომელთა გამოც ადგილებზეც ვერ არის ხეირიანად საქმე.

კამათის მონაწილენი გულისტკივილით ლაპარაკობდნენ იმაზე, რომ ჩვენი ფედერაცია უმთავრესად ეგრეთ წოდებული მიმდინარე, ყოველდღიური საკითხებითაა დაკავებული, ატარებს შეჯიბრებებს, ნიშნავს მსაჯებს, სასჯელს ადებს დისციპლინის დამრღვევ მოთამაშეებს, მაგრამ „ხელი ვერ უწვდება" მასშტაბური მნიშვნელობის, პერსპექტიულ პრობლემებამდე. რა სასწავლო-მეთოდური ლიტერატურის შექმნაზე უნდა ვილაპარაკოთ, როცა ფედერაციამ 1962 წლის შემდეგ ვერ შეძლო ფეხბურთის თამაშის წესების გამოცემა ქართულ ენაზე? განა ასე გაჭირდა ორფორმიანი ბროშურის დაბეჭდვა?

გაუთავებელი ლაპარაკია სავარჯიშო ინვენტარის შექმნის საჭიროებაზე. მისი უქონლობა დიდად ვნებს საქმეს, კონკრეტულ ზომებს კი არავინ მიმართა, რათა რომელიმე ქარხანას ან საწარმოს დაკვეთის სახით დაამზადებინოს ამ ინვენტარის კომპლექტები.

---

# მიღწეულს არ სჯერდებიან

### „განთიადის" VII კონფერენციაზე

„განთიადის" ცენტრალური საბჭოს VII კონფერენციაზე, რომელიც ამას წინათ საქართველოს პროფსაბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა, საზოგადოების მიერ ოთხი წლის მანძილზე გაწეული მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა საბჭოს თავმჯდომარე ა. გიორგობიანი. სარევიზიო კომისიის საქმიანობაზე ილაპარაკა ამ კომისიის თავმჯდომარემ, აბრეშუმის საწარმო გაერთიანების საფინანსო განყოფილების გამგემ გ. ჯიბლაძემ.

გიორგობიანმა ილაპარაკა განთიადელთა წარმატებებზე ორგანიზაციულ, სასწავლო-სპორტულ, მასობრივ და ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ საქმიანობაში, კადრებთან მუშაობაში, სპორტის აგიტაციასა და პროპაგანდაში არსებულ ნაკლოვანებებზე, მათი გამოსწორების გზებზე.

ითქვა, რომ საანგარიშო პერიოდი მდიდარი იყო საბჭოთა კავშირის ხალხისთვის საზეიმო დღეებით. ყოველივე ეს განთიადელებსაც ავალებდა ამ ღირსშესანიშნავ თარიღებს უკეთესი მაჩვენებლებით შეხვედროდნენ. განსაკუთრებით საყურადღებო იყო სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებები მოსახლეობის შემდგომი ფიზიკური სრულყოფის, ჯანმრთელობის განმტკიცების მიზნით.

მომხსენებელმა ილაპარაკა იმაზე, რომ „განთიადი" რესპუბლიკის ერთ-ერთი უდიდესი სპორტული საზოგადოებაა, რომელიც 717 ფიზკულტურულ კოლექტივსა და 7 სპორტკლუბში 153 ათასზე მეტ ფიზკულტურელს ითვლის. ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის სხდომებზე, პლენუმებზე, რესპუბლიკური აქტივის თათბირებზე სისტემატურად განიხილავდნენ ორგანიზაციულ, სასწავლო-სპორტულ, საფინანსო-სამეურნეო, პოლიტაღმზრდელობით და სხვა აქტუალურ საკითხებს. ყოველივე ამან ხელი შეუწყო ფიზკულტურული ორგანიზაციების განმტკიცებას, რაც კოლექტივებში საანგარიშო კრებებმა და კონფერენციებმაც დაადასტურა. 724 ორგანიზაციიდან ფიზკულტურული კოლექტივების საბჭოების მუშაობა არადამაკმაყოფილებლად მხოლოდ 11-ში შეფასდა.

ცენტრალური საბჭო მთავარ ყურადღებას უთმობდა საოლქო, საქალაქო, რაიონული საბჭოების, სპორტკლუბებისა და ფიზკულტურული კოლექტივების საქმიანობას, იბრძოდა გამოვლენილი ნაკლოვანებების დროულად გამოსწორებისთვის. ამანაც განაპირობა, რომ „განთიადის" ორგანიზაციები ყოველწლიურად გადაჭარბებით ასრულებენ ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმებს. შარშან, მაგალითად, ორის მაგიერ სამი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი მოამზადეს, 28 სპორტის ოსტატის მაგიერ — 41, სპორტის ოსტატობის კანდიდატისა და პირველთანრიგოსნის მომზადების გეგმა კი (342 კაცი) 200 პროცენტზე მეტით შეასრულეს. ასევე თვალსაჩინო წარმატებებია მოპოვებული მასობრივი თანრიგების სპორტსმენთა, მშდ კომპლექსის ნიშნოსანთა, საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების მომზადებაში. ყოველივე ამის გამო იყო, რომ „განთიადის" ორგანიზაცია შარშან ზედიზედ მეცამეტედ დაჯილდოვდა პროფკავშირის სპორტსაზოგადოებათა საკავშირო საბჭოს გარდამავალი წითელი დროშით.

გიორგობიანმა თქვა, რომ ამ წარმატებებში განსაკუთრებით დიდი წვლილი შეიტანეს აჭარის, აფხაზეთის, ქუთაისის, რუსთავის, გორის, ზესტაფონის, სამტრედიის, მახარაძის, ხაშურის, სიღნაღის და გეგეჭკორის საბჭოებმა, აგრეთვე, სპორტკლუბებმა „განთიადმა", „იბერიამ", „უშბამ", თბილისის სატელეგრაფო აპარატების ქარხნის, საავეჯო კომბინატის, №№ 1, 6 და 7 სამკერვალო ფაბრიკების, აბრეშუმის საწარმო გაერთიანების, ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისნის", კერამიკული კომბინატის, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი, გემსაშენი, კოფეინის ქარხნების, № 4 სამკერვალო ფაბრიკის, ხის დამმუშავებელი კომბინატის, ქუთაისის, რუსთავის, გორისა და სხვა ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა.

მომხსენებელმა განსაკუთრებით აქო თბილისის სატელეგრაფო აპარატების ქარხნის ორგანიზაცია, რომლის დირექტორმა ბ. თოთლაძემ ფიზკულტურული მუშაობის მაღალ დონეზე დაყენებისთვის ბევრი რამ გააკეთა. აშენდა აუზი წყლის გათბობით, მოეწყო ძალოსნობის ფიცარნაგი, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები, მალე დარბაზის მშენებლობა დაიწყება. თითქმის ყოველდღე ტარდება ღონისძიებები მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად; კოლექტივი ენერგიულად იბრძვის სპორტული კლუბის სახელისთვის. ასეთი კოლექტივი კი „განთიადში" ბევრია.

— ჩვენს საქმიანობაში მუდამ დიდი ყურადღება ეთმობოდა ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს, — განაგრძობს მომხსენებელი,— ამას ისიც მოწმობს, რომ, თუ წინა კონფერენციისთვის გამაჯანსაღებელ საქმიანობაში მუშა-მოსამსახურეთა 33 პროცენტი იყო ჩაბმული, სადღეისოდ ეს ციფრი 45 პროცენტამდე გაიზარდა.

საანგარიშო მოხსენებაში დიდი ადგილი დაეთმო კადრებთან მუშაობის საკითხს, სადღეისოდ „განთიადის" ორგანიზაციებში 424 შტატიანი ფიზკულტურული მუშაკია, მათგან 300-ს უმაღლესი განათლება აქვს. საანგარიშო პერიოდში კვალიფიკაცია 94 კაცმა აიმაღლა.

კადრების საქმიანობის გაუმჯობესებას ხელს უწყობს რესპუბლიკური საინსტრუქტორო თათბირ-სემინარების ხშირი გამართვა, რომლებშიც ავტონომიური რესპუბლიკების, საოლქო, სარაიონო საბჭოების, სპორტკლუბების, ფიზკულტურის კოლექტივების წარმომადგენლები მონაწილეობენ.

„განთიადში" კადრების მომზადებას დიდი ყურადღება რომ ეთმობა, შემდეგიდანაც ჩანს: საანგარიშო პერიოდში 23000 ინსტრუქტორი, მწვრთნელი და მსაჯი აღზარდეს. ახლა ყოველ 10 ფიზკულტურელზე ერთი საზოგადოებრივი მუშაკი მოდის.

ა. გიორგობიანმა აღნიშნა, რომ ბოლო წლების წარმატებები ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდის სათანადო დონეზე დაყენებამაც განაპირობა. ბევრ კოლექტივში მოწყობილია ფოტოვიტრინები, გამოდის სპორტული კედლის გაზეთები, ბაზები მორთულია ლოზუნგებით, პლაკატებით, ტრანსპარანტებით, რესპუბლიკური პრესა, რადიო და ტელევიზია განთიადელთა წარმატებებს დროულად ეხმაურებიან. ამ საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სპორტღონისძიებათა მაღალ დონეზე გამართვას, კარგ ინფორმაციას, გადარბენებს, ესტაფეტებს, საჩვენებელ გამოსვლებს.

მოხსენების მეორე ნაწილი საზოგადოებაში სასწავლო-სპორტულ მუშაობას დაეთმო. „განთიადის" სპორტული კოლექტივები დღეს რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციების ნაკრები გუნდების თითქმის ნახევარს შეადგენენ. წინსვლა საკავშირო სარბიელზეც თვალსაჩინოა. თუ 1965 წლის პროფკავშირთა საკავშირო სპარტაკიადაში „განთიადის" სპორტსმენებმა XIV ადგილი დაიკავეს, შემდეგ სპარტაკიადაში VI ადგილზე გადაინაცვლეს. სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში ცენტრალური საბჭოს მიერ გატარებულ ღონისძიებათა შედეგად განთიადელებმა საქართველოს სპარტაკიადაში სპორტსაზოგადოებათა კოლექტივების გუნდურ ჩათვლაში II ადგილი მოიპოვეს, საკავშირო სპარტაკიადაში რესპუბლიკების ცენტრალურ საბჭოებს შორის კი IV. თანაც, 19 მედალი მოიხვეჭეს, თითქმის ოთხჯერ მეტი, ვიდრე IV სპარტაკიადაში. სსრ კავშირის ოლიმპიურ ნაკრებს მეხიკოს თამაშებისთვის „განთიადმა" ორი სპორტსმენი მისცა, მათ ერთი ვერცხლის მედალი ჩამოიტანეს, მიუნხენში კი გამოდიოდა სამი განთიადელი, რომლებმაც თითო ოქროსა (ლ. თედიაშვილი) და ვერცხლის (დ. შანიძე) მედალი მოიპოვეს. 1972 წლის სამ კვარტალში მსოფლიო ჩემპიონატების შედეგების მიხედვით, როგორც ეს საკავშირო სპორტკომიტეტში აღრიცხეს, ოლიმპიურ სახეობებში ქვეყნის 36 სპორტსაზოგადოებას შორის განთიადელებმა X, ხოლო რესპუბლიკურ ცენტრალურ საბჭოებს შორის V ადგილი დაიკავეს. განთიადელებმა საანგარიშო პერიოდში 8 მსოფლიო, 6 ევროპული, 25 საკავშირო და 142 რესპუბლიკური რეკორდი დაამყარეს. ამ მხრივ თავი განსაკუთრებით ძალოსნებმა დ. შანიძემ და რ. ღარკილმა გამოიჩინეს.

მომხსენებელმა დაასახელა მოჭიდავეები ოლიმპიადის, მსოფლიოსა და სსრ კავშირის ჩემპიონი ლ. თედიაშვილი, სსრ კავშირის ჩემპიონები თ. მაჭავარიანი და ვ. მარშანია, სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის პრიზიორები ზ. შეყრილაძე და ო. ტატიშვილი, აგრეთვე, თ. სირბილაძე, ვ. ხანდოლიშვილი, ტანმოვარჯიშე ნ. დრონოვა, მსროლელები კ. დარასელია, თ. მატოიანი, ე. აბაჯიანი და სხვები.

— წარმატებები უფრო მეტს გვავალებს, განსაკუთრებით სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისთვის ბრძოლაში, სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისა და მომავალი ოლიმპიადისთვის მზადების პერიოდში. ამ ამოცანების გადასაწყვეტად სათანადო ღონისძიებანი უკვე ტარდება, გაიხსნა სპეციალური სპორტული სკოლები რამდენიმე სახეობაში. თავი უკვე გამოიჩინა ცხინვალის კრივის სპორტსკოლამ, რომელსაც დ. დადიანი ხელმძღვანელობს. — განაგრძობს გიორგობიანი.

მომხსენებელსა და მოკამათეებს არც იმის თქმა დავიწყებიათ, რომ საქმიანობის თითქმის ყველა უბანზე ხარვეზი ჯერ კიდევ ბევრია: ზოგიერთ კოლექტივში მშრომელთა გაჯანსაღებისთვის პასუხისმგებელი ინსტრუქტორ-მეთოდისტები საქმისადმი მეტისმეტად გულგრილ დამოკიდებულებას იჩენენ, საწარმოთა ხელმძღვანელები კი ამას ყურადღებას არ აქცევენ, ხშირია შემთხვევა, როცა თვით დირექციები ფიზკულტურულ კოლექტივებს არ ეხმარებიან. ამ მხრივ არც რაისაბჭოები ჩამორჩებიან. მარნეულის რაისაბჭოს უხეირო მუშაობის გამო ფიზკულტურულ კოლექტივებში საქმიანობამ ფორმალური ხასიათი მიიღო, არ შესრულდა ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმები. ყოველივე ამის გამო მარნეულის სარაიონთაშორისო საბჭოს თავმჯდომარე დარბაიძე სამსახურიდან დაითხოვეს. თბილისის წინდების ფაბრიკაში დირექციამ (დირექტორი ელისაშვილი) საფაბრიკო კომიტეტის (თავმჯდომარე გურგენიძე) აქტიური დახმარებით საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტი ზაქარიაშვილი თანამდებობიდან ცენტრალურ საბჭოსთან შეუთანხმებლად გაათავისუფლა და მის ადგილზე არასპეციალისტი დანიშნა. ახლა ფაბრიკაში, სადაც 800-ზე მეტი მუშა-მოსამსახურეა, ფიზკულტურული მუშაობა ჩაშლილია. წლის მანძილზე მშდ ახალი კომპლექსის ერთი ნიშნოსანიც არ მოუმზადებიათ.

მომხსენებელმა ცუდი მუშაობისთვის გააკრიტიკა აბაშის, დუშეთის, ჩხოროწყუს, მცხეთის რაისაბჭოების, თბილისის საიუველირო ფაბრიკის, წყნეთის სამკერვალო ფაბრიკის, № 3 საავეჯო კომბინატის, ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის, საქელექტრომონტაჟის, ინსტრუმენტული ქარხნისა და სხვა ფიზკულტურული კოლექტივები.

კონფერენციაზე ლაპარაკი იყო ბაზების მდგომარეობაზე, მათს დატვირთვაზე. თბილისში კრივის, ძალოსნობისა და ჭიდაობის სპეციალური დარბაზების აგებამ ხელი შეუწყო ძალოსნობის სპორტსკოლის გახსნას. მთელ რიგ სახეობებში ჯერჯერობით მდგომარეობა არასახარბიელოა. თავისუფალ ჭიდაობაში მეტი მუშაობა მართებთ სამხრეთ ოსეთის, რუსთავის, ქუთაისისა და გორის საბჭოებს, რომლებსაც კარგად აღჭურვილი ბაზები აქვთ და კვალიფიციური კადრები ჰყავთ.

ითქვა, რომ ცურვაში „განთიადმა" თითქოს კარგი ტრადიცია დაიმკვიდრა, მაგრამ საყვედურს მაინც იმსახურებს: ოლიმპიურ რეზერვს ამ საზოგადოებამ მხოლოდ 5 სპორტსმენი მისცა, თუმცა ბათუმში, ქუთაისში, ტყიბულში 50-მეტრიანი აუზებია, თბილისში კი კოლექტივებს ხუთი 25-მეტრიანი აუზი აქვთ. ცურვაში 1000-ზე მეტი ბავშვი ვარჯიშობს. შარშან 8 სპორტის ოსტატი და 11 სპორტის ოსტატობის კანდიდატი მომზადდა, საკავშირო სარბიელზე კი კვლავ სუსტად გამოდიან.

კრივის განვითარებისთვის ცხინვალში უკვე დაიწყო მუშაობა, მაგრამ საზოგადოებაში ეს სახეობა მაინც საგრძნობლად ჩამორჩება. უკონტროლობის გამო იმ მწვრთნელებმაც, რომლებიც უწინ მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენებს ზრდიდნენ, მუშაობა შეანელეს: რუსთავისა და ზუგდიდის საბჭოების კარგი ტრადიცია დაიკარგა. მწვრთნელთა ხშირი ცვლის გამო კრივში სასწავლო-სპორტული მუშაობა აჭარის საბჭოშიც შესუსტდა.

მაღალკვალიფიციური სპორტსმენების აღზრდაში საზოგადოების ბევრი საბჭოც ჩამორჩება. 29 საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭო წლების მანძილზე ვერ ამზადებს სპორტის ოსტატებს და სპორტის ოსტატობის კანდიდატებს, 25 საბჭოს კი რესპუბლიკისა და ცენტრალური საბჭოს ნაკრებში არც ერთი წარმომადგენელი არ ჰყავს.

კამათის მონაწილეებმა — აფხაზეთის საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ ი. სანგულიამ, თბილისის სატელეგრაფო აპარატების ქარხნის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანმა მ. შერმადინმა, ბათუმის საწყლოსნო სადგურის დირექტორმა ზ. კალანდაძემ, მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ მ. ნათაძემ, სპორტკლუბ „ფოლადის" უფროსმა ინსტრუქტორმა ს. კრასიკოვამ, ცენტრალური საბჭოს უფროსმა მწვრთნელმა თავისუფალ ჭიდაობაში დ. თედიევმა, ქუთაისელ მოცურავეთა მწვრთნელმა ვ. ანანიევმა, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებების საკავშირო საბჭოს განყოფილების გამგემ ა. სუსლიკოვმა, ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტის პასუხისმგებელმა ორგანიზატორმა ვ. ბულიჩინმა და საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ლ. სანაძემ ილაპარაკეს განთიადელთა სხვა მიღწევებსა და ნაკლოვანებებზე, სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარებისთვის ბრძოლის მეთოდებზე.

კონფერენციამ მიიღო სათანადო ღონისძიება, რის შემდეგ გაიმართა არჩევნები.

კონფერენციამ აირჩია „განთიადის" ცენტრალური საბჭოს ახალი შემადგენლობა — 65 კაცი.

„განთიადის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია ა. გიორგობიანი, მოადგილედ — ბ. ბაქანიძე, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ — ვ. აზნაიძე (კვების მრეწველობის სამინისტროს საფინანსო განყოფილების უფროსი).

# პროგრესისთვის

განა საპრობლემო არაა აფხაზეთში ფეხბურთის დიდი ჩამორჩენის საკითხი? უწინ აფხაზეთიდან ვღებულობდით ბრწყინვალე მოთამაშეთა მთელ პლეადებს, უმაღლესი კლასის მოთამაშეებს, ახლა კი დიდი ფეხბურთის ეს მდიდარი წყარო დაშრა და არც ვინმე ფიქრობს აღორძინოს იგი.

ბაზები ბავშვებისთვის. ეს საჭირბოროტო საკითხი ათეული წლებია უმძიმეს ტვირთად აწევს ჩვენს ფეხბურთს. მისი გადაჭრა ვერა და ვერ მოხერხდა. და მით უფრო საჭიროა მეტი გაქანება მიეცეს „მინი-ფეხბურთს", რომლის ფართო დანერგვა და გავრცელება გარკვეული კომპენსაცია იქნებოდა შექმნილ ვითარებაში. მართალია, თბილისის ფეხბურთის ფედერაციამ ამ მიმართებით ბოლო ხანებში გადადგა პრაქტიკული ნაბიჯები, დააინტერესა ბავშვებიც და ორგანიზაციებიც, მაგრამ საქმის გაშლა საჭიროა გაცილებით უფრო დიდი, რესპუბლიკური მასშტაბით, უნდა გამოიცეს „მინი-ფეხბურთის" წესები, მითითება მინდვრის ზომებზე, შეჯიბრებებს ქალაქებსა და რაიონებში მიეცეს სისტემატური, ორგანიზებული ხასიათი. ვინ იცის, რამდენი ტალანტი იკარგება ჩვენში იმ მიზეზით, რომ ადგილებზე არაა სათამაშო მინდვრები და ბავშვები მოკლებული არიან მზრუნველ ხელს.

არანაკლებ საჭირბოროტოა ის პრობლემა, რომ ჩვენში ვერა და ვერ შევძელით მყარი ხიდის გადება ბავშვთა და მოზარდთა ფეხბურთს შორის, ურომლისობა მძიმე დანაკარგს იწვევს. ბავშვთა სპეციალიზებულ სკოლებში სწავლა მხოლოდ 17 წლის ასაკამდეა, რის შემდეგაც ნორჩი ფეხბურთელების დიდი უმრავლესობა საერთოდ ფეხბურთის მიღმა რჩება. ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში ფეხბურთი ვერ დგას სასურველ სიმაღლეზე, სპეციალური ჯგუფები 19-20 წლის ასაკის ჭაბუკთათვის არ არსებობს, ამის გამოა, რომ ისინი თავს ანებებენ თამაშს და მთლიანად კარგავენ ბავშვობაში შეძენილ ცოდნას.

ქართული ფეხბურთის (და არა მარტო ფეხბურთის) განვითარებას დიდად აფერხებს თბილისის „დინამოს" სტადიონის სარეკონსტრუქციო სამუშაოების ყოვლად დაუშვებელი გაჭიანურება. ეს ბაზა რესპუბლიკის სპორტული ცხოვრების სულსა და გულს, მის ცენტრს წარმოადგენდა მუდამ. მისი მწყობრში ჩაყენება უპირველესი მოთხოვნილების საკითხია.

ასეთი საკვანძო საკითხი მრავლადაა ჩვენს ფეხბურთში. მათი გადაჭრა უნდა მოხდეს კონკრეტული, ქმედითი ღონისძიებებით, მოფიქრებული გეგმის შესაბამისად.

ამაზე იყო საუბარი განვლილ პლენუმზე, რომელმაც საქმიანი, აქტიური კრიტიკის ვითარებაში ჩაიარა. უნდა ვიფიქროთ, რომ პლენუმის მიერ დასახულ ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარება ხელს შეუწყობს საქართველოში ფეხბურთის შემდგომი პროგრესის საქმეს.

პლენუმმა ფედერაციის პრეზიდიუმის განვლილი საქმიანობა დამაკმაყოფილებლად შეაფასა. არჩეული იქნა პრეზიდიუმის ახალი შემადგენლობა, რომლის თავმჯდომარეა საკავშირო კატეგორიის მსაჯი გ. ბაქანიძე, მოადგილეები — სპორტის დამსახურებული ოსტატები ბ. პაიჭაძე და გ. ჯეჯელავა, ხოლო პასუხისმგებელი მდივანი — დ. კვინიკაძე.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე და სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პასუხისმგებელი მდივანი ა. ჩეტირკო.



რუსთაველი ნორჩი ფეხბურთელები (მწვრთნელები რ. მახარაძე და ს. კახრელიშვილი) ვარჯიშის დროს.

რ. გაბრიჭიძის ფოტო.

# ჟან-კლოდ კილი

## თხილამურებზე კილისთან ერთად

თავი IV

### ის მარცხი ვერ დავივიწყე

დღემდე დარწმუნებული ვარ, რომ მაშინ, პირველი თოვლის კრიტერიუმში გამარჯვებიდან ორი თვის შემდეგ, გიგანტურ სლალომში კარგ შედეგს მივაღწევდი. გამოცდილება ჯერ კიდევ მაკლდა, მაგრამ აზარტი და დაუოკებელი ენერგია თავისას გაიტანდა. რაც ალჟირიდან დაბრუნების შემდეგ ავადმყოფობა გადავიტანე, ძალის ისეთი მოზღვავება აღარ მიგრძვნია.

არმიაში გადამდე წავედი, რათა ინსბრუკის 1964 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის ჩამოსვლა მომესწრო. იქ ექვს თვეს დავრჩი. ვალ დ'იზერში დაბრუნების დღესვე ჩავწექი — სიყვითლე მქონია. მერე დიდხანს მიხდებოდა მკურნალობა და ამ ავადმყოფობის გართულებების გადატანა. 1963 წლის ზამთრის სეზონისთვის კარგად მომზადებული არც ვიყავი. დღეს რომ საუცხოოდ ვგრძნობდი თავს, ხვალ ერთბაშად გამომეცლებოდა ძალა. ჯეშაში მკაცრ რეჟიმს ვიცავდი, ბევრი მეძინა.

იანვრის პირველი კვირის მიწურულს ადელბოდენში (შვეიცარია) ორი შეჯიბრება მოეწყო გიგანტურ სლალომში. ეს სახეობა ყველაზე მკაცრი გამოცდაა ფიზიკურ მომზადებაში. მე სწრაფად ჩავვარდი რიტმში და პირველ შეჯიბრებაში მეორე ვიყავი შვეიცარიელი გრუნენფელდის შემდეგ. ტრასის ბოლოს ისე დაქანცული ვიყავი, ფინიშის წინ ძალის მოკრება აღარ შემეძლო. მაგრამ, თუ ჩემს მდგომარეობას გავითვალისწინებთ, მაინც კმაყოფილი უნდა ვყოფილიყავი. მეორე დღეს ფეხები ტკივილებით დამიმძიმდა. სტარტამდე უჩვეულო დაღლილობას ვგრძნობდი. ტრასაზე წავიქეცი.

ეს ზამთარი ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის. ფის-ის კლასიფიკაციაში საქმე უნდა გამოვიკეთო და ინსბრუკის ოლიმპიადამდე პირველ ჯგუფში მოვხვდე. სამთოსათხილამურო სპორტში სტარტის თანმიმდევრობა დიდ რამეს ნიშნავს. ბევრი ახალგაზრდა, ნიჭიერი სამთოსათხილამუროს წინსვლა შეფერხდა ამ მიზეზით. უფრო ხშირად, მათ ხელი შეუშალა დაშვების მძიმე პირობებმა ბევრად რთულ ტრასაზე, რომელიც, ჩვეულებრივ, ბოლო ნომრების ხვედრია. მძლეოსანთა შეჯიბრებისას სარბენი ბილიკი ყველა მონაწილისთვის ერთნაირია. მეორე და, მით უმეტეს, მესამე ჯგუფების სამთოსათხილამურეთ კი გაცილებით მეტი დაბრკოლება ხვდებათ გზაზე, ვიდრე პირველ ჯგუფში მოხვედრილ სპორტსმენებს.

გიგანტურ სლალომსა და სწრაფდაშვებაში მიზანს მივაღწიე. დარჩა მხოლოდ სპეციალური სლალომი. მე იძულებული ვარ რისკი გავწიო, ეს კი ხშირად მარცხით მთავრდება — ტრასაზე ვვარდები. 1963 წლის ზამთარში ასე მოხდა მოზინსა და კიცბიუელში, სადაც პირველი ტრასა კარგად გავიარე (სტარტზე ოცდამეთვრამეტე ვიყავი და მეოთხე დრო ვაჩვენე), ასე მოხდა მეჟევში, სადაც ტრასაზე დავვარდი, მაგრამ მაინც მეთოთხმეტე ვიყავი, მადონა დი კამპილიოში (იტალია), სადაც მეცამეტე ადგილი დავიკავე. ბუნებრივად წამოიჭრა კითხვა: ერთხელ მაინც მივალ ფინიშთან მშვიდობიანად? და მაინც, მჯერა, რომ სწორი გზა ავირჩიე — ის ყველაზე შესაფერია ჩემთვის. ვოცნებობ მკაცრ, ტექნიკურად უზადო სტილზე, როცა თხილამური ფეხის ოდნავ მოძრაობასაც კი ემორჩილება, ჰო, ეს არის სრულყოფის გზა. იძულებული ვარ მარტო ვიარო წინ, ვენდო მხოლოდ ინტუიციას, თავისებურ სათხილამურო ინსტინქტს. ეს საჭიროა, მერე რა, რომ ხშირად ვვარდები.

საერთო ფიზიკური განვითარება არ მყოფნის. მიზნის მისაღწევად თვეობით ვარჯიში მჭირდება. სწრაფდაშვებაში წინ მივდივარ და კარგი შედეგებიც მოვიპოვე დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებში: მერვე ვიყავი კიცბიუელში, ხანენკამის* შეჯიბრებაში, მეორე — მეჟევში, ემილ ალეს თასის გათამაშებაში მეორე ადგილი მხვდა შამონიშიც, კანდახარაში. ვფიქრობ, გამოვჯანსაღდი კიდეც. შეიძლება ფორმა მთლიანად ვერ აღვიდგინე, მაგრამ სისუსტის პერიოდები უფრო ნაკლებად მაწუხებს.

ოლიმპიურ წელიწადს ჩემი სახელი პირველი ჯგუფის სიებშია შეტანილი სამივე სახეობაში. „ბ" კლასის* საერთაშორისო შეჯიბრებებში წარმატებამ სლალომშიც პირველ ჯგუფში მომახვედრა. იმ წელიწადს თოვლი ცოტა იყო. ვენგენში ლაუბერჰორნის სწრაფდაშვება გიგანტური სლალომით შეცვალეს — ვიგერის მისადგომებთან.

კიცბიუელში შეჯიბრება არ ჩატარდა. კიდევ კარგი, ოლიმპიურ თამაშებამდე ათი დღით ადრე მადონა დი კამპილიოში (იტალია დოლომიტი) ტრასის მოწყობა მოასწრეს. თაოსნებმა მოთხილამურეებს შესთავაზეს ორი შეჯიბრება სწრაფდაშვებაში. ეს შეჯიბრებები სეზონში პირველი იყო.

ონორე ბონემ თავისი გადაწყვეტილება გამოაცხადა: ამ ორი რბოლის შედეგების მიხედვით დაკომპლექტდება საფრანგეთის გუნდი, რომელიც მადონიდან პირდაპირ ინსბრუკს გაემგზავრებაო. მე სამივე სახეობაში ჩამწერეს. 1962 წლის მსოფლიო პირველობის ვერცხლის პრიზიორი ემილ ვიოლია მონაწილეთა რიცხვში ვერ მოხვდა. მერე გავიგეთ, რომ არც ჟიულ მელკიონი გამოვიდოდა. ეს მან უსამართლობად მიიჩნია. ჟიულის მაგიერ პიერ სტამოსი შეიყვანეს. მადონაში იგი ვიოლიაზე უკეთ გამოვიდა. ბატონი ვინსენი, ფედერაციის სპორტული კომისიის თავმჯდომარე, ონორე ბონეს არ დაეთანხმა. დაჟინებით მოითხოვდა გუნდში ვიოლიას ჩარიცხვას. რაც შეეხება სწრაფდაშვებას, აქ საკითხი ინსბრუკში, პატჩერკოფელის ტრასაზე ვარჯიშის შემდეგ უნდა გადაწყვეტილიყო. გუნდში ერთი ვაკანტური ადგილი დარჩა, პრეტენდენტი კი ორი იყო. დანარჩენი სამი ადგილი უკვე გაანაწილეს: ლაკრუა, პერიია და მე. ამ გაურკვევლობამ გუნდში მდგომარეობა გაამწვავა. კიდევ კარგი, ჩვენ, სპორტსმენები, ორგანიზაციულ საკითხებს დიდ ყურადღებას არ ვაქცევდით.

ვიოლია და სტამოსი ისევ ამხანაგები დარჩნენ, თუმცა უნებურად ერთმანეთის მეტოქეები გახდნენ. საწვრთნელი, მათთვის საკონტროლო დაშვების წინ ერთად წაუსვეს საცხი თხილამურებს, რომ შედეგებზე შემთხვევას — საცხის შერჩევას არ ემოქმედა.

უცნობ ტრასაზე მათ არ იცოდნენ, სად აირჩიეს მწვრთნელებმა სათვალთვალო პუნქტები. ამიტომ იძულებული იყვნენ მთელი ძალა ჩაექსოვათ დაშვებაში, რისკი გაეწიათ ერთადერთი, ჯერჯერობით თავისუფალი ადგილის მოსაპოვებლად... მოხდა ის, რაც მოსალოდნელი იყო: ვიოლია დავარდა და ლავიწი გაუტყდა, სტამოსი კი იოლად გადარჩა — ფეხი იღრძო. შედეგად, გუნდში მეოთხე წევრად ჩარიცხეს ფრანსუა ბონლიე, რომლის გამოყვანასაც სწრაფდაშვებაში საერთოდ არ აპირებდნენ.

ინსბრუკის თამაშებს ჩემს სიცოცხლეში ვერ დავივიწყებ. უდიდესი წარმატება ხვდათ მარიელ და კრისტინა გოიჩელებს — ოქროს და ვერცხლის მედლები მოიპოვეს. ფრანგმა ბონლიემ ყველას აჯობა გიგანტურ სლალომში. დიდად იმარჯვა ლეო ლაკრუამაც — მეორე იყო სწრაფდაშვებაში. მე კი ასე მწარედ მას შემდეგ არც ერთხელ არ გამცრუებია იმედი სპორტულ სარბიელზე. გარბენი ყოველი სტარტის მერე უფრო და უფრო მიფუჭდებოდა. დაშვების დროს ორმოცდაათი მეტრიც არ გამივლია. პირველივე მოსახვევში თოვლში ჩავემხე. გონს ვერ მოვედი, რა ხდებოდა. თითქოს ყველაფერი რიგზე იყო. წამოვდექი, გზა გავაგრძელე, მაგრამ რაღა დროს. ათი წამი მაინც დავკარგე.

ვალ დ'იზერში კი მამაჩემს დასდგომია შავი დღე. სოლეზის წვერზე მამას და მის მეგობრებს სატელევიზიო „მატყუარა" დაედგათ. იმ დროს ჩვენთან ჯერ კიდევ ვერ იჭერდნენ ტელეგადაცემებს. სწრაფდაშვებას სადღაც შუა ტრასაზე იღებდნენ და, როცა ეკრანზე გამოვჩნდი, ლიდერთან ათ წამს მაინც ვაგებდი. ტელევიზორთან უამრავი ხალხი მდგარა. მამაჩემი აიკლეს თურმე დაცინვით:

— რას შვრება შენი მემკვიდრე, ბუზებს ხომ არ ითვლის?

ჩემი ერთადერთი იმედი გიგანტური სლალომი იყო. მქონდა კიდეც საფუძველი — ამ სახეობაში ბედი მუდამ მწყალობდა. მაგრამ აქაც მეხუთე ადგილი მხვდა!

მაგრამ ჯერ სად იყო! შესარჩევ სლალომში* ოცდამეთერთმეტე ვიყავი, ფინალში კი პირველი ცდით ზუსტად ოცდაათი კაცი გადიოდა. ისევ მეორე ტრასაზე უნდა მეცადა ბედი.

ყველა ჩემი მარცხი სლალომის ფინალმა დააგვირგვინა. თხუთმეტი კარი ძლივს მქონდა გავლილი, თხილამურებზე სამაგრი გამიტყდა და ტრასიდან გადავედი. შეჯიბრებიდან მომხსნეს. საერთოდ, ფრანგებს კოშმარულ მოგონებად დარჩათ ეს სლალომი. ფინიშამდე სამი თუ ოთხი კარი რჩებოდა, რომ პერიია თხილამურებით დროშას წამოედო. არადა, მარაგში ორი წამით მეტი ჰქონდა დანარჩენ მეტოქეებზე. ბონლიე ბოლო ფერდობზე დავარდა. ახლა ყველას მხოლოდ მიშელ არპენის იმედი ჰქონდა. გვეგონა ბრინჯაოს მედალი ჯიბეში ედო, მაგრამ ამერიკელმა ჰიუგამ, როგორც იტყვიან, ჯილდო ზედ ცხვირწინ ააცალა.

ყველაფერი ჩემი ბრალია, მე ვარ დამნაშავე. ინვენტარის მომზადებას ყურადღებას არ ვაქცევდი. სწრაფდაშვების წინ თხილამურები ერთ ტექნიკურ სპეციალისტს მივანდე, საცხის დამამზადებელი ფირმიდან იყო. შემომთავაზა სამსახური და სიამოვნებით დავეთანხმე. ადგა ეს „სპეციალისტი" და კანტები დაბლაგვა, იმის მაგიერ, რომ წვერები ბლესა გაყინული თოვლის იოლად გასაჭრელად. სლალომში შეჯიბრების დაწყებამდე შევნიშნე, რომ სამაგრებზე ორი ხრახნი მოშვებული იყო. გასამაგრებლად მხოლოდ პატარა სოლები გავუკეთე. რითაც დამთავრდა ეს ამბავი, უკვე მოგახსენეთ.

(გაგრძელება იქნება)

ზაფხულში — ველოსიპედი და... ფეხბურთი.

---

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო" №№ 28, 29, 31, 33.

* ხანენკამი, კანდახარი და ლაუბერჰორნი დიდი შეჯიბრებებია, რომლებიც ტრადიციულად ყოველწლიურად ტარდება სამთოსათხილამურო სპორტის დაბადების დღიდან. ხანენკამი მუდამ კიცბიუელში ეწყობა, ლაუბერჰორნი — ვენგენში, კანდახარს კი სხვადასხვა ადგილას მართავენ (მთარგმნელის შენ.).

* სამთოსათხილამურო სპორტში საერთაშორისო შეჯიბრებები ორ კლასად იყოფა. „ა" კლასში უფრო მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენთა შეჯიბრებები შედის. კლასიფიკაცია ხდება შეჯიბრებაში დაგროვილ ქულათა შესაბამისად, ქულა კი შეჯიბრების მონაწილეთა ოსტატობის დონისა და დაკავებული ადგილის მიხედვით იწერება. „ბ" კლასის შეჯიბრებებში გამარჯვება მონაწილეს გაცილებით ნაკლებ ქულას აძლევს (მთარგმნელის შენ.).

* ოლიმპიური ასპარეზობის დროს, სანამ სლალომის ფინალში მოხვდებოდნენ, სპორტსმენები შესარჩევ შეჯიბრებაში მონაწილეობენ (მთარგმნელის შენ.).



# ცნობები, ცნობები, ცნობები

### ბრატისლავის მსოფლიო ჩემპიონატის წინ

ბრატისლავიდან—ფიგურულ ციგურაობაში წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატის დედაქალაქიდან — რედაქციამ მიიღო ამ ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის ბიულეტენების მორიგი ნომრები, რომლებშიც ბევრი საინტერესო ცნობაა გამოქვეყნებული. მაგალითად, ერთ-ერთი ბიულეტენი იუწყება, რომ ბრატისლავაში იყო ფიგურული ციგურაობის საერთაშორისო კავშირის თავმჯდომარე ჟაკ ფავარტი, რომელმაც ძალიან მოიწონა ჩემპიონატისთვის განკუთვნილი ბაზები. მასპინძლებს სამი საციგურაო მოუმზადებიათ, მათგან ორი გადახურულია და ახლა ვარჯიშისთვის ყველას საკმარისად ექნება დრო. ფავარტი, როგორც ციგურაობის საერთაშორისო კავშირის თანამდებობრივი პირი, ოცამდე ჩემპიონატს დასწრებია, რომელთაგან მასზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია პრაღის, ჟენევისა და დავოსის შეჯიბრებებს, და აი, ახლა, მას სჯერა, რომ ბრატისლავის წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატიც ასევე კარგად ჩატარდება.

„სლოვაკოტურისტის“ დირექტორი კაროლ კუჩერა ბიულეტენის საშუალებით ესაუბრება ჟურნალისტებს. იგი აღნიშნავს, რომ ყველაზე დიდი ინტერესი ჩემპიონატისადმი გამოიჩინეს გდრ-ის მოქალაქეებმა—იქიდან 1000-ზე მეტ ტურისტს ველით. ჩემპიონატს დაესწრებიან ტურისტები სსრ კავშირიდან, უნგრეთიდან, პოლონეთიდან, იუგოსლავიიდან... აშშ-დან და კანადიდან 880 ტურისტი აპირებს ჩამოსვლას.

სლოვაკიის ტელევიზიის დირექტორის მოადგილე პავოლ ბაცკო გვამცნობს, რომ ტელეგადაცემები მოეწყობა სამი კონტინენტისთვის (ევროპა, ამერიკა და აზია). ყოველდღიურად მოეწყობა 6 პირდაპირი გადაცემა. დასაწყისი 19 საათსა და 80 წუთზე ადგილობრივი დროით. ჩემპიონატის ბოლო დღეს, 4 მარტს, ტელეგადაცემები 15 საათზე დაიწყება.

იაპონელები ტელევიზიით პირველად ნახავენ ფიგურულ ციგურაობაში გამართულ შეჯიბრებას. ფიგურული ციგურაობისადმი იაპონელთა დიდი ინტერესი საპოროს ზამთრის ოლიმპიადამ გამოიწვია. ვინაიდან ჩეხოსლოვაკიისა და იაპონიის დროის შორის დიდი განსხვავებაა, ამიტომ მომზადდება ხოლმე 60-წუთიანი ფირადი ტელეპროგრამები, რომლებშიც შეტანილი იქნება თითოეულ სახეობაში სამი პრიზიორისა და, ცხადია, შეჯიბრების მონაწილე იაპონელი სპორტსმენების გამოსვლა.

ჟურნალისტები, რადიო- და ტელეკომენტატორები იცხოვრებენ სასტუმრო „კიევში“, რომლის მშენებლობა ახლახან დამთავრდა. ჩემპიონატის სტუმრებისთვის გამოყოფილი იქნება სასტუმროს თორმეტი სართული, სადაც 406 საძინებელი ადგილია.

როგორც ჩემპიონატის პრეს-ცენტრის გამგე იგორ მრაზი წერს, აქ აკრედიტებული იქნება 400-მდე ჟურნალისტი და რადიო-ტელეკომენტატორი, იმდენი, რამდენი ადგილიც გამოყოფილია სასტუმრო „კიევში“, სასტუმროდან შეჯიბრების ადგილამდე რეგულარულად ივლიან კომფორტაბელური ავტობუსები. შეჯიბრების მონაწილენი იცხოვრებენ სასტუმრო „კარლტონში“, რომელიც „კიევიდან“ სულ რაღაც 800 ნაბიჯითაა დაშორებული.

კიდევ ერთი: როგორც წესი, ფიგურული ციგურაობის თითოეულ სახეობაში ასპარეზობის დროს მონაწილენი სამ ჯგუფად არიან დანაწილებული. თითოეულ სახეობაში უკვე დაყოფილია ჯგუფები. ცნობილია, რომელი ქვეყანა და მისი რამდენი მონაწილე გამოდის ამა თუ იმ სახეობაში. გთავაზობთ ამ განრიგს:

**ქალთა ერთეულები** (სულ 28 მონაწილე). **I ჯგუფი** (9 მონაწილე). გფრ (1 მონაწილე), კანადა (3), დიდი ბრიტანეთი (2), იტალია (1), პოლონეთი (1), შვეცია (1); **II ჯგუფი** (10). გდრ (3), საფრანგეთი (1), სამხრეთ კორეა (1), სსრ კავშირი (1), აშშ (3), იუგოსლავია (1); **III ჯგუფი** (9). ავსტრია (2), ჩეხოსლოვაკია (1), ფინეთი (1), უნგრეთი (2), იაპონია (1), ჰოლანდია (1), შვეიცარია (1).

**ვაჟთა ერთეულები** (25). **I ჯგუფი** (8). ავსტრია (1), გფრ (1), საფრანგეთი (1), დიდი ბრიტანეთი (1), აშშ (2), პოლონეთი (1), იუგოსლავია (1); **II ჯგუფი** (9). კანადა (3), გდრ (2), უნგრეთი (1), იტალია (1), შვეცია (1), შვეიცარია (1); **III ჯგუფი** (8). ჩეხოსლოვაკია (3), ფინეთი (1), იაპონია (1), სსრ კავშირი (3).

**წყვილთა სრიალი** (19). **I ჯგუფი** (6). გფრ (3), ჩეხოსლოვაკია (1), საფრანგეთი (1), პოლონეთი (1); **II ჯგუფი** (6). გდრ (3), შვეიცარია (1), აშშ (2); **III ჯგუფი** (7). ავსტრია (1), კანადა (2), უნგრეთი (1), სსრ კავშირი (3).

**სპორტული ცეკვა** (20). **I ჯგუფი** (7). საფრანგეთი (1), იტალია (1), სსრ კავშირი (3), აშშ (2); **II ჯგუფი** (6). ავსტრია (1), ჩეხოსლოვაკია (1), უნგრეთი (1), დიდი ბრიტანეთი (3); **III ჯგუფი** (7). გფრ (3), კანადა (2), პოლონეთი (1), შვეიცარია (1).

ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი კვირა დარჩა. დაველოდოთ პირველ სტარტებს.

• • •

**სურათებზე:** ფიგურულ ციგურაობაში წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატის ემბლემა; ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის მიერ გამოშვებული საცნობარო ბიულეტენის მე-8 ნომრის ყდა; 1964 წელი. ევროპის ჩემპიონი კაროლ დივინი 13 წლის ნიჭიერ ფიგურისტებთან ერთად: მარცხნივ — ონდრეი ნეპელა, მარჯვნივ — იან კოშტა. ეს უკანასკნელი ამჟამად სპორტულ ცეკვაში გამოდის; სასტუმრო „კიევი“.

სურათები გადმობეჭდილია ფიგურულ ციგურაობაში 1973 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის საცნობარო ბიულეტენებიდან.

# „ლოკომოტივი“ კვლავ ჩემპიონია

„ლოკომოტივის“ მოზარდ წყალბურთელთა გუნდი, რომელსაც სათავეში საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ლ. კრილოვი უდგას, ერთ-ერთ საუკეთესო კოლექტივადაა აღიარებული რესპუბლიკაში. ნორჩმა ლოკომოტიველებმა 1970 წელს საკავშირო ზონალური პირველობა მოიგეს მინსკში. ამავე წელს ისინი პირველად გახდნენ ჩვენი რესპუბლიკის ჩემპიონები და ზედიზედ მეორედ გაიმარჯვეს თბილისის პირველობაში. დედაქალაქის ჩემპიონობა გუნდს შარშანდლამდე არ დაუთმია. შარშან კი „დინამომ“ დაიბრუნა 3 წლის წინათ დაკარგული ტიტული.

თბილისის წლევანდელ ჩემპიონატში ამ ორი კოლექტივის შეხვედრა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა. მით უმეტეს, ამ მატჩამდე რკინიგზელებს არ წაუგიათ და მიზანთანაც ყველაზე ახლოს იყვნენ. ნორჩ რკინიგზელებს რევანშისთვის ძალ-ღონე არ დაუზოგავთ და გაიმარჯვეს კიდეც — 9:8.

რკინიგზელებთან შეჯიბრებაში პირველობის ერთ-ერთმა პრეტენდენტებმა — განათლების განყოფილების წყალბურთელებმაც დაყარეს ფარ-ხმალი. თავიდან ისინი ორი გოლით დაწინაურდნენ, საბოლოოდ კი დაძაბული ორთაბრძოლის სასწორი რკინიგზელთა მხარეს გადაიხარა — 4:3. ეს იყო განათლების განყოფილების გუნდის ერთადერთი მარცხი ამ ჩემპიონატში.

რკინიგზელმა წყალბურთელებმა იოლად დაამარცხეს „სპარტაკის“ ახალბედა გუნდი 17:0 და ჩემპიონის ტიტულამდე გზა დაუმარცხებლად განვლეს. ამ მატჩებში გამარჯვებული გუნდის სული და გული იყო შესანიშნავი წყვილი — ზ. ნიორაძე — გ. სიხაშვილი. აღსანიშნავია, რომ მწვრთნელთა სკოლის აღსაზრდელმა ზ. ნიორაძემ სამ მატჩში 16 გოლი გაიტანა მეტოქის კარში.

დინამოელებთან განათლების განყოფილების კოლექტივმა ფრედ (3:3) ითამაშა, სპარტაკელებს კი მოუგო ანგარიშით 23:1. ბურთების უკეთესი შეფარდებით მათ II ადგილი ხვდათ. III საპრიზო ადგილი დინამოელებს დარჩათ (სპარტაკელებს დინამოელებმა მოუგეს ანგარიშით 20:1).

**თ. თენგოშვილი.**

# ბრძოლა თასებისთვის

თბილისის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში მიმდინარეობს ბრძოლა ქალაქის თასისთვის. ვაჟთა ტურნირში 64 მოჭადრაკე მონაწილეობს, ქალთა შეჯიბრებაში კი 22.

ორივე ტურნირი ოლიმპიური სისტემით ტარდება. ორი პარტიისგან შემდგარ მატჩში დამარცხებული სარბიელს ტოვებს. თუ ორთაბრძოლა ყაიმით დამთავრდა, მაშინ მეტოქენი ორ ელვისებურ პარტიას თამაშობენ. თუ ეს შეხვედრაც ყაიმით დასრულდა, გამარჯვებულს კენჭისყრა ასახელებს.

ორი ტურის შემდეგ თასისთვის ბრძოლას განაგრძობენ: ვაჟთა შორის — ქ. ჩიგოგიძე, დ. გედევანიშვილი, ა. ხუციშვილი, თბილისის მოსწავლეთა ჩემპიონი ი. ეფიმოვი, ზ. ლუკაშვილი, ვ. ვეფხვიშვილი, ს. კიკილაშვილი და სხვები. ქალთა შორის — მ. ჩიბურდანიძე, თბილისის მოსწავლეთა ჩემპიონი ქ. გეგიძე, ნ. მელაშვილი, ნ. გურიელი და სხვ.

21 თებერვალს სტარტს აიღებს საქართველოს თასის გათამაშება, რომელშიც ითამაშებს ვაჟთა ტურნირიდან 9, ქალთა შეჯიბრებიდან კი 7 მოჭადრაკე.

**გ. ფამილიანტი,**
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

## მსოფლიოს ფეხბურთის ამბები

### დაძაბული ვითარების გამო

როგორც ჩრ. ირლანდიის ფეხბურთის ფედერაციამ ოფიციალურად განაცხადა, დაძაბული პოლიტიკური ვითარების გამო მსოფლიო პირველობის შესარჩევი ტურნირის მატჩი ჩრ. ირლანდიისა და პორტუგალიის ნაკრებ გუნდებს შორის 28 მარტს ბელფასტის ნაცვლად გაიმართება ინგლისის ქალაქ კოვენტრიში.

• •

### ეროვნული ჩემპიონატი... გააუქმეს

რიო-დე-ჟანეიროში გამოცხადდა, რომ მსოფლიო ჩემპიონატისთვის ნაკრების ინტენსიური მზადების გამო 1974 წელს ბრაზილიის ჩემპიონატი არ ჩატარდება, რათა წამყვანი მოთამაშეები არ გადაიღალონ. ამ წელს, როგორც ადრე, გაიმართება მხოლოდ შტატების პირველობები.

# ცისკარას ფერდობებზე

ცისკარას ფერდობებზე ორ დღეს გრძელდებოდა ბათუმის ზამთრის V სპარტაკიადა. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ნავთობგადამმუშავებელი, გემსაშენი, მანქანათსაშენი ქარხნების, ბათუმსურსათვაჭრობის, ხის დამამუშავებელი კომბინატის, რკინიგზის კვანძისა და ბათუმმრეწვავაჭრობის, აგრეთვე, ხილეული წვენებისა და ლუდის ქარხნის მუშა-მოსამსახურეები.

საერთო გუნდურ ჩათვლაში I ადგილი დაისაკუთრეს ხის დამამუშავებელი კომბინატის სპორტსმენებმა. II და III ადგილები ერთნაირი მაჩვენებლებით გაიყვეს მანქანათსაშენი და გემსაშენი ქარხნების წარმომადგენლებმა.

დაკომპლექტდა ქალაქის ნაკრები, რომელიც მონაწილეობას მიიღებს აჭარის ზამთრის სპარტაკიადაში. იგი სოფელ ქედლებში (ხულოს რაიონი) გაიმართება.

**ო. მურვანიძე.**
(ჩვენი კორ.)
ბათუმი.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი 380096, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, რედაქტორის მოადგილე — 93-97-51, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება—99-81-71, ჭადრაკის განყოფილება — 93-97-57, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.